ცნობის ფურცელი

№ 1813 ‌ კვირა, 19 მაისი ‌ **1896—1902** ‌ ყოველ-დღიური გამოცემა ‌ **№ 1813**

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პერდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ამ №-თან ხელის-მომწერთ ეგზავნებათ სურათებიანი დამატების მე-41 ნომერი.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის მაისის 19 დღესა, დილის ათ საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წ. მოქმედებისა; 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა იმ ანგარიშის შესახებ; 3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის; 4) კერძო მოხსენებანი; 5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად ბ. ი. გომართელისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება, 6) საზოგადოების და ახალ წევრთა არჩევანი. (3—3)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ი. გ. ფედოროვი—შინაგანი და საბავშო 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 10—11 საათამდე. სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელის და ცხვირისა 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საა თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. მოინო—ხირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

პ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.- ტელეფონი № 274. (წლ.)

ე ქ ი მ ი
ალექსანდრე გიორგის ძე
მ ა ღ ა ლ ა შ ვ ი ლ ი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქმოს: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

ბ ე ბ ი ა
ვ. მ. ლ ი მ ო ნ ი
ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლომ რიგზე. (0—7)

საგანგებო კრება
ამა მაისის ცხრამეტს (19), კვირა, დილით ათ საათზე
ქალაქ ოზურგეთში
ამხანაგობის კონტორაში, დანიშნულია
გურიის ამხანაგობა
„შუამავლის“
წევრთა საგანგებო საზოგადო კრება.

კრების განსახილველი საგნები არის: 1) გამორიცხვა ამხანაგობის მავნე წევრთა; 2) განხილვა და სრულიად გაუქმება 19 აპრილს და 12 მაისს **დ. ლანჩხუთში** არა ჩვეულებრივი კრების გადაწყვეტილებისა, რადგანაც ის შემდგარია წინააღმდეგ 14, 28 და 29 §§ 18 მარტს 1898 წლისა ნოტარიუსის დამტკიცებულის ჩვენ ხელ-შეკრულებისა; 3) განხილვა იმ კითხვებისა, რაც 19 აპრილისთვის დანიშნული იყო 4) საშუალების გამოძებნა ამხანაგობის ამ წლის ნაწარმოებისათვის (განცალკევებით ოზურგეთში და ლანჩხუთში); 5) მიიღება ახალ წევრთა და იმ წევრებისა, რომლებმაც წილი სხვისგან შეიძინეს.

ამხანაგობის მმართველი **ს. ჭეიშვილი**

შენიშვნა: უკეთუ დანიშნულ დროს კრება არ შესდგა, განმეორებითი დაინიშნება კ ვ ი რ ა ს, 26 მ ა ი ს ს; განიხილავს მხოლოდ იმ საგნებს, რაც პირველი კრებისათვის დანიშნულია და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც დაესწროს § 11.—წევრთ განმეორებითი ცნობა არ გაეგზავნებათ, მხოლოდ გამოცხადდება გაზეთ „ცნობის ფურცელში“.

(6. 3—3) მმართველი **ს. ჭ.**

საბავშვო ბაღი
იუნკრების მოედნის პირდაპირ
კვირას, 19 მაისს,
იაფ-ფასიან და მუქთ სასადილოებისა და საჩაიების საზოგადოების სასარგებლოდ
გაიმართება
დიდი სეირნობა
საქველმოქმედო მიზნით.

ბაღში დაუკრავს სამხედრო მუსიკა. სეირნობის დროს კონცერტს გამართავს ცნობილი იმიტატორი ა. ი. მელსონი „კაცი-ბულბული“, რომელიც ოპერებსა და რომანსებს ასრულებს უინსტრუმენტოდ. ბაღში ჩირაღდანი გაიმართება. ბავშვებისათვის—გიმნასტიკა, ეტლი, პატარა ტრამვაი, ბურთის თამაში და სხვა. ბავშვების თამაში გაიმართება ქბ. ვ. ნ. მონიუშკოს ხელმძღვანელობით. ბუფეტი, კონფეტტი და ყვავილები. შემდეგ გაიმართება **ცეკვა**. სეირნობის დასაწყისი ნაშუადღევის 1-ლ საათიდან, კონცერტისა საღამოს 6 საათიდან. თუ ავდარი იქმნა, სეირნობა გადაიდება ხუთშაბათ 23 მაისისათვის.

შესვლის ფასი **20** კაპ. (უ. 2—2)

მაისის დამლევს დაიწყება
არტისტიული მოგზაურობა
ტფილისის ქართულის დრამატიულის დასისა
ვალერიან გუნიას ლოტბარობით.

მსახიობნი: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, გივიშვილი; ბ.ბ. გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, იმედაშვილი, ივანიძე, ბეგლარიძე-ყალამბეგაშვილი და სხვ.

დრო-გამოშვებით მოწვეული იქნება
გლ. ალექსი მესხიშვილი.

დასი თითო ან ორ წარმოდგენას გამართავს შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ხონში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, ახალსენაკში, სამტრედიაში, ყვირილაში, ჭიათურაში, დუშეთში, კაჯკავში, ბაქოში, განჯაში, ყარსში და ალექსანდროპოლში.

ადგილების ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი იქნება, რეპერტუარი ახალი და მოწონებული წრევანდელ სეზონში. პირველი წარმოდგენა დაიწყება ქუთაისიდან.

რეჟისორი და გამგებელი ვალ. გუნია.

საზღვარ-გარედ

ანტილის კუნძულების კატასტროფა. ნიუ-იორკიდან შემდეგ ცნობებს იტყობინებიან ვოლკანების გაძლიერებულ მოქმედებაზე: 19 (6) მაისს ამერიკის გემზე „პოტომაკ“-ზე და ინგლისის კრეისერ „ინდფატიგაბლ“-ზე სენ-პიერში მისულან მშველელი რაზმები ამერიკისა და ინგლისის კონსულების გვამების წამოსაღებად. ეს რაზმები ძლივს გადარჩენილან.

პირველად მისულა სენ-პიერთან „პოტომაკ“-ი ლეიტენანტ მაკ-კორმიკის უფროსობით და ნაპირზე ორი პატარა რაზმი გადასულა. ერთი რაზმი ამერიკის საკონსულოსაკენ წასულა, მეორე კი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ, სადაც ინგლისის საკონსულო იმყოფებოდა. აქედან მოსჩანდა ვოლკანი და აფიცერს დაენახა, რომ კრატერიდან ამოვარდა ორთქლისა და ჰაზის საშინელი სვეტი. იგი მაშინვე გაქცეულა ამერიკის საკონსულოსაკენ და უბრძანებია ჯარის-კაცებისათვის ნავებში ჩამსხდარიყვნენ. ჯარის-კაცებმა გაიდვეს მხარზე კონსულის ძმიმე კუბო და ნავისაკენ წაიღეს. ისინი მეტად საშიშარ მდგომარეობაში იყვნენ.

ამასობაში ინგლისის გემიც მოვიდა სენ-პიერთან, მაგრამ მაშინვე მოშორდა ნაპირს და ზღვაში შესცურა, თან ნიშნებს იძლეოდა, რომ საშიში მდგომარეობა იწყება. გადნობილ ნივთიერებათა საშინელი ტალღა ჩავარდა ზღვაში. ამასთანავე მთიდან ქალაქისაკენ წამოვიდა კვამლის უზარ-მაზარი სვეტი; ისმოდა აფეთქება, და თან საშინელი წვიმა მოვიდა ელვითა და ჭექა-ქუხილით. ელვა თურმე საშინელებას წარმოადგენდა. ჭექა-ქუხილის დროს გახსნილა რამდენიმე კრატერი. მეზღვაურების საბედნიეროდ ქარმა სხვა მხარეზე წაიღო მათკენ მომავალი ღრუბლები ორთქლისა და ჰაზებისა. როგორც სჩანს, ვოლკანის მოქმედება ისევ გაძლიერებულა და ამიტომ გემები ძლივს გადარჩა კატასტროფას.

✡ ფორტ-დე-ფრანსიდან იტყობინებიან, რომ 20 (7) მაისს იქ ფერფლის ძლიერი წვიმა მოვიდა. ამომავალ მზის სხივები ამ ფერფლის წვიმაში ცეცხლის ენებს ჰგვანდნენ. ვოლკანის მოქმედების განახლებამ მეტად შეაშინა ხალხი და 20.000 კაცი გონება-დაბნეული დარბოდა ქუჩებზე, ყვიროდა და სტიროდა, ზოგი დაჩოქილი ლოცულობდა, ვინც ახერხებდა, გემებზე მირბოდა. ზღვა ღელავდა და სდუღდა გადნობილ ნივთიერებათა მიზეზით. დილით ლა-კარმეს ნაწილი წყალმა წალეკა.

✡ მარტინიკის ჩრდილოეთ ნაპირზე, ბასპუანტთან 20 (7) მაისს, 2 საათზე დიდი წყალი მოვარდა: წალეკა 30 სახლი და დაახრჩო 50. ადამიანი არ დაღუპულა, რადგან ეს ადგილი რამდენიმე დღის წინად მიატოვეს მცხოვრებლებმა.

✡ სენ-ვინცენტის ვოლკან სუფრიერსაც არ შეუწყვეტია მოქმედება; გარდა ამისა კინგსტონის ახლო ახალი ვოლკანი გაჩენილა. ერთი ინგლისელი პასტორი ასე აგვიწერს სუფრიერის ამოხეთქას: „ნავით მივუახლოვდით კრატერს და დავინახეთ გადნობილ ნივთიერებათა, კვამლისა და ორთქლის უზარ-მაზარი სვეტი, რომელიც საშინელ სიმაღლეზე ამართულიყო. ეს დიდებული სვეტი აუწერელ სიმშვენიერეს წარმოადგენდა; ჩვენგან იგი 8 მილის მანძილზე იყო, მაგრამ არც სიმაღლე ჰქონდა 8 მილზე ნაკლები. გვინდოდა უფრო ახლო მივსულიყავით, მაგრამ საშინელმა ღრუბელმა გზა გადაგვიღობა. ამასთანავე გადმოაწვა გოგირდიან ორთქლის უზარ-მაზარი ღრუბელი, მას მოჰყვა საოცარის სისწრაფით მოძრავი პატარა ღრუბლები, გახშირდა ელვაც, რომელიც ხან აქ, ხან იქ გადაჭრიდა ღრუბლებს. უცებ საშინელი სიბნელე დადგა. გოგირდით გაჟღენთილ ჰაერიდან წვიმასავით წამოვიდა მოშავო მტვერი, რომელსაც მალე ნამდვილი წვიმაც მოჰყვა. ჩქარი და განუწყვეტელი ელვა, მთის ძლიერი გუგუნი და მიწის ძვრა წარმოადგენდა დიდებულსა და თან საშინელ სანახაობას. ვოლკანის მოძრაობა ყოველ წამს ძლიერდებოდა და ჩვენც დავიჩქარეთ კინგსტონში დაბრუნება.

✡ ცნობილ გეოლოგის და მინერალოგის სიდნეის წინასწარმეტყველებით, ვოლკანების მოქმედების დასრულება ჯერ შორს არის; სხვა ვოლკანებიც დაიწყებენ მოქმედებას ასეთისავე სიძლიერით, როგორც პელე და სუფრიერი. ამ მოვლენებს არ შეიძლება გავლენა არ ექნეს ვოლკანების მთელ რიგზე შუა ამერიკისაკენ.

საფრანგეთი. ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს გადადგომის ამბავმა ბევრი დეპუტატი ჩამოიყვანა პარიზში და ბურბონის სასახლის (პარლამენტი) კულუარებში ისეთი მოძრაობა და სიცოცხლეა, როგორიც პარლამენტის სესიის დროსაც იშვიათად არის. ერთად-ერთი სალაპარაკო საგანი, რასაკვირველია, ახალ სამინისტროს შედგენაა. ყველაზე ხშირად ვალდეკ-რუსსოს მემკვიდრედ ლეონ ბურჟუას ასახელებენ. მაგრამ, ბევრის აზრით, ბურჟუა უფრო საჭიროა, როგორც პალატის თავმჯდომარე, ვიდრე როგორც პირველი მინისტრი. ასახელებენ ბრისონსაც. მაგრამ ამტკიცებენ, რომ თვითონ მას არ ჰსურს სამინისტროს შედგენა, რომ უფრო თავისუფლად ებრძოლოს კონგრეგაციებსა და დეფალუს კანონს (საშუალო სკოლების შესახებ). კანდიდატებს ეძებენ სენატორებ შორისაც. ასახელებენ ფრეისინეს, რომელიც მომხრეა ორის სამხედრო ბეგრის შემოღებისა, აგრეთვე კომბსაც, რომელიც კონგრეგაციების წინააღმდეგ კანონ-პროექტის კომისიის თავმჯდომარე იყო. ეხლანდელ სამინისტროს დაახლოვებულ წრეებში ჯერ კიდევ არ ჰკარგავენ იმედს, რომ ვალდეკ-რუსსო ისევ იკისრებს სამინისტროს შედგენას. ვალდეკის მეგობრების ანგარიშით ბურჟუას აირჩევენ პალატის თავმჯდომარედ; მაშასადამე, ლუბე მას ჰკითხავს რჩევას, თუ ვის მიანდოს სამინისტროს შედგენა. ბურჟუა-კი, როგორც ყველამ იცის, მოწადინებულია, რომ სამინისტროს შედგენა ისევ ვალდეკ-რუსსოს მიანდოს.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვალდეკ-რუსსოს არ სურს მინისტრად დარჩეს; იგი კიდეც შეუდგა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობიდან კერძო სადგომში გადასვლას.

ამერიკა და ვილჰელმ მე-II-ე. გერმანიის იმპერატორი ყოველ ღონეს ღონობს ამერიკელების გული მოიგოს. ამას წინათ ვილჰელმმა გემი შეუკვეთა ამერიკელებს და თავის ძმა გაგზავნა მის მოსაყვანად; გემი კი ამერიკის პრეზიდენტის ქალს „მოანათვლინა“. ეხლახან იმპერატორმა დეპეშით შეატყობინა რუზველტს, რომ მას სურს აჩუქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს ფრიდრიხ დიდის ძეგლი (ფრიდრიხი თანაუგრძნობდა ამერიკელებს, როცა ისინი ინგლისს ებრძოდნენ თავისუფლებისათვის). რუზველტმა მადლობა შემოუთვალა, მაგრამ თავმოყვარე ვილჰელმს იაფად არ უჯდება ეს თავისებური გულ-უხვობა: ამერიკელები დიდ უკმაყოფილებას აცხადებენ გერმანიის იმპერატორის საჩუქრების გამო, დაიწყო კიდეც ხალხში მოძრაობა საჩუქრის მიღების წინააღმდეგ. დეპუტატ სტეფენსმა ვაშინგტონის პალატაშიაც შეიტანა კანონ-პროექტი, რომლის ძალით ამერიკის მთავრობას უნდა აეკრძალოს მიიღოს საჩუქრად უცხოელ სახელმწიფოებიდან ძველ თუ ეხლანდელ მეფეების და მთავრების ძეგლები. საყურადღებო ის არის, რომ ამერიკელი გერმანელებიც წინააღმდეგნი არიან ვილჰელმის საჩუქრისა.

რასაკვირველია, ბერლინში, უფრო სასახლის წრეებში მეტად გულნატკენნი არიან ამერიკელების ქცევით და ყველაფერს გერმანიის ელჩს აბრალებენ: რატომ დროზე არ შეიტყო საზოგადოების აზრი და არ ეცადა, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაეყენებია ვილჰელმ მეორეო.

ნამდვილი დამნაშავე, რასაკვირველია, ისევ ვილჰელმე მეორეა. ფრიდრიხ დიდის ძეგლის ჩუქება იმიტომ მოაგონდა გერმანიის იმპერატორს, რომ ვაშინგტონში ძეგლს უდგამდნენ ფრანგ როშამბოს, ამერიკის თავისუფლებისათვის მებრძოლს ლაფაიეტთან ერთად. ამერიკის პრეზიდენტმა საფრანგეთი მოიწვია ძეგლის კურთხევაზე დასასწრებლად, და, რასაკვირველია, ამ ძეგლის კურთხევაზე ორი დიდი რესპუბლიკა, რომელთაც ასე აკავშირებს ტრადიცია და ეხლანდელი მდგომარეობაც, კიდევ უფრო დაუახლოვდებოდნენ ერთმანერთს. პატივმოყვარე ვილჰელმ მეორეს არ შეუძლია სადმე ვისმე პირველობა დაუთმოს და ამიტომ მოინდომა საფრანგეთ-ამერიკის მანიფესტაციის გერმანია-ამერიკის მანიფესტაციით დაჩრდილვა. მაგრამ ერთი კი დაავიწყდა იმპერატორს: სულ სხვაა ლაფაიეტისა და როშამბოს კეთილშობილური თავგანწირვა ამერიკის თავისუფლებისათვის და სულ სხვაა ცბიერ ფრიდრიხ დიდის დიპლომატიური თანაგრძნობა ამერიკელებისათვის. გარდა ამისა, ამერიკა რესპუბლიკაა და რა საკვირველია, რომ საფრანგეთის რესპუბლიკა უფრო ახლო იყოს მასთან.

◆

ახალი ამბავი

◆ დღეს, 19 მაისს, დილის ათ საათზე სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში მოხდება ქართველთა შორის **წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრთა წლიური კრება.** განსახილველია შემდეგი საგნები: 1) წლიური ანგარიში 1901 წლისა და ხარჯთ-აღრიცხვა 1902 წლისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ანგარიშის შესახებ, 3) კერძო მოხსენებანი და 4) საზოგადოების წევრთა ამორჩევა და სხვა.

◆ **კავკასიელ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობა** აცხადებს, რომ 1) საზოგადოების საქმეების გამო მსურველთ უნდა მიჰმართონ გამგეობის თავმჯდომარეს ს. მ. ლავროვს ამიერ კავკასიის საქციზო მმართველობაში (სუდებნი ქუჩაზე) ყოველ-დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმების გარდა; მასვე უნდა გაეგზავნოს ყველა წერილები სასტუდენტო საზოგადოების საქმეების გამო; 2) საწევრო გადასახადს იღებს საზოგადოების გამგეობის ხაზინადარი ლ. ბ. ხიდდეკელი თავის წიგნის მაღაზიაში (გოლოვ. პროსპექტი ქვაშვეთის ეკკლესიის სახლში); 3) იმ წევრთ, რომელთაც ხელი არ მოუწერია ჯერ საზოგადო კრების ოქმზე, სთხოვენ მოაწერონ იქვე ხიდდეკელის მაღაზიაში; 4) წევრად ჩაწერა შეიძლება გამგეობის ყველა წევრებთან, სახელდობრ: მ. დ. ელჩუკოვთან, ს. მ. ლავროთან, გ. ა. ტარსაიძესთან, ლ. ი. შევალიესთან, ბ. ს. ესაძესთან და ლ. ბ. ხიდდეკელთან.

◆ დღეს, საღამოს ხუთ საათზე, ტფილისის პირველ საქალებო გიმნაზიის დარბაზში მოხდება **მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების** წევრთა საგანგებო კრება. განსახილველი საგნებია: 1) წესდების ორი ახალი მუხლის შემოღება (საჭიროა, საზოგადოების წევრების ორი მესამედი დაესწროს), 2) მოხსენება სკოლის მდგომარეობაზე და 3) ამორჩევა საზოგადოების საქმის მწარმოებელ ქალისა.

◆ გუშინ, 18 მაისს, აკურთხეს წმ. ნინოს სასწავლებლის ეზოში სასწავლებლისათვის ახლად აშენებული **სამკურნალო.** კურთხევას დაესწრნენ კავკასიის მთავარ მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, ტფილისის გუბერნატორი ბ-ნი სვეჩინი, ვიცე-გუბერნატორი ალიშევსკი, საქართველოს ეგზარხოსი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი, ქალაქის თავის მოადგილე შესტაკოვი, სასწავლებლის უფროსი, მასწავლებელ-მოსწავლე ქალები და მოწვეული პირნი. სახლის კურთხევის შემდეგ 40 საპატიო პირთათვის მთავარ-მართებლის სასახლეში საუზმე გაიმართა.

◆ 16 მაისს, დილის თერთმეტ საათზე, ქალაქ ბათუმში, ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიაში **საზარელი ამბავი** მოხდა, რომლის მსხვერპლიც შეიქნა ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი ქ-ნი არნოლდი. ქ ნი არნოლდი შევიდა მესამე კლასში ჩვეულებრივ გაკვეთილზე და, სხვათა შორის, გამოუძახა შეგირდს კვახაძეს (18 წლისაა), რომელიც ფრანგულს ენაში ორზე (2) მეტს არ იღებდა ხოლმე. თქვენ კიდევ „ორს“ დამისვამთ“? —ჰკითხა იმან მასწავლებელს.—„თუ ღირსი იქნებით დაგისვამ“—უპასუხა მასწავლებელმა ქალმა.—„მაშინ მე თქვენ მოგკლავთ“—„კადნიერებისა და შეუპოვრობისათვის „ერთს“ დაგისვამთ!!... ძლივს დაასრულა ქალმა ეს სიტყვები, რომ კვახაძე მივარდა იმას და ბებუთით რამდენიმე ჭრილობა მისცა გვერდში და მუცელში. უბედური ქალი, სისხლში მოსვრილი, იქვე დაეცა; კლასი საშინელმა შიშმა შეიპყრო. ქალი საკაცეთი სამხედრო საავადმყოფოში მიიტანეს, კვახაძე კი დაატუსაღეს და ციხეში გაგზავნეს. ქ ნ არნოლდის ჭრილობანი სასიკვდილოდ იცნეს.

ამ უბედურების გამო „კავკაზს“ ატყობინებენ ბათუმიდან: „დღეს (17 მაისს) საავადმყოფოში გარდაიცვალა ბათუმის სავაჟო გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი ევგენია არნოლდი, რომელიც ხანჯლით დასჭრა გიმნაზიაში მესამე კლასის შეგირდმა კვახაძემ 16 მაისს. მკვლელობის მიზეზი ის იყო, რომ შეგირდი კვახაძე ძალიან სუსტობდა ფრანგულს ენაში. დემნაშავე სასამართლოს გარდაეცა.

◆ „ნოვ. ობოზრ.“-ს სიტყვით, ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა ინჟენერმა ივანოვსკიმ გამოსცა **შემდეგი ბრძანება** რკინის გზებზე: „რადგანაც ძალიან გახშირებულია ამიერ კავკასიის რკინის გზებზე უბილეთო მგზავრების ტარება, იძულებული ვარ, განსაკუთრებული ზომები მივიღო, რომ ეს ბოროტება აღმოიფხვრას, რომელსაც აქ, როგორც ჩანს, ღრმად გაუდგამს ფესვები. ეს ზომა პირველად ის იქნება, რომ მგზავრთა შორის იქნებიან ისეთნი პირნი, რომელთაც ნაყიდი ბილეთები ექნებათ და ამასთანავე ჩემი ხელმოწერილი სხვა ბილეთებიც, რომლის ძალითაც შეეძლებათ უცბად მოახდინონ კონტროლი. გარდა ამისა, ამ პირთ საიდუმლოდ თვალ-ყური ეჭირებათ კონდუქტორების მოქმედებაზე შესახებ უბილეთო მგზავრებისა“.

◆ გუშინ-წინ სხდომა ჰქონდა ქალაქის **სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს** სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად. უმთავრესად საბჭომ ეს სხდომა მოანდომა სასანიტარო სამკურნალო ნაწილის მოსამსახურეთა და სხვა საჭიროებათათვის 1903 წლის გასავალ ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა-განხილვას. რამდენი ექნება ხარჯი სამკურნალო საბჭოს, ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული.

გადამდებ სენით საავადმყოფოების შესანახად, საბჭოს გამოანგარიშებით, ქალაქს მომავალ წელს დასჭირდება სულ 25.727 მან. საბჭომ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ტფილისის ქალაქის საბჭოსთან, რომ მომავალ წლიდან გადამდებ სენით სამკურნალოებში შემოღებულ იქნას ექიმების მორიგეობა სამკურნალოს თვალყურის გდებისათვის, აგრეთვე დაწესებულ იქნას თანამდებობა უფროსი ზედამხედველისა ð სხ. საბჭომ განიხილა აგრეთვე საკითხი ღორის ხორცზე შტემპელების დაკვრის შესახებ და გადასწყვიტა ეს საქმე სრულებით მიენდოს ქალაქის ლაბორატორიას აქამდე ესევე წესი არსებობდა, მაგრამ ზოგნი გვერდს უხვევდნენ ასეთს გადაწყვეტილებას. მაგალ., ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება აქამდე არ ასრულებს ქალაქის თვით-მმართველობის სავალდებულო დადგენილებას შაშხის სიკეთის აღსანიშნავად დაწესებულ შტემპელების დაკვრის შესახებ. ამის გამო საბჭომ გადასწყვიტა ყველასათვის სავალდებულოდ გახდეს შემოღებული წესი.

◆ 17 მაისისათვის დანიშნული შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ტფილისის **სახელოსნო სასწავლებლის** ახლად შედგენილ წესდების განხილვა, არ შესდგა, წევრთა დაუსწრებლობისა გამო, და გადაიდვა შემდეგი დროისათვის.

◆ 17 ივნისისათვის დანიშნული კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** გამგეობის სხდომა, გამგეობის წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო, არ შესდგა და გადაიდვა ორშაბათს, 20 ივნისისათვის.

◆ გუშინ, 18 მაისს, დილის მეთერთმეტე საათზე პოლიციის მე-5 ნაწილში კინაღამ დიდი უბედურება დატრიალდა: მუხრანსკის ქუჩის ბოლოში მტკვარზე გამართულ ქალაქის ბორანზე, რომელიც ამ ჟამად იჯარით აღებული აქვს ტფილისის მოქალაქეს ბუდალოვს, დამსხდარა ოთხი კაცი და ერთი ქალი, რიყის ქუჩიდან გაღმა გასასვლელად. როცა მოახლოვებიან მუხრანსკის ქუჩის ნაპირს, უეცრად ბორანს, რომელიც დამპალი ყოფილა, მოჰგლეჯია ნავი და ამაზედ მსხდომარე კაცები და ქალი მტკვარს მოუტაცნია. შიშისაგან გაფითრებულ წყალ-წაღებულთ, საბედნიეროდ, მალე მიშველებია გარეშე ხალხი, ჩაუშვიათ წყალში ნავები და დიდის ბრძოლის შემდეგ წაღებული ნავი დაუჭერიათ და უდანაშაულო მსხვერპლნი გადაურჩენიათ. კიდევ კარგი, რომ ბორანი ნაპირზე მოახლოვებული იყო, თორემ ეს უბედურება შუა მდინარეში რომ დამართოდა, ადამიანთა გადარჩენა შეუძლებელი იქნებოდა.

ესეც კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ მუყაითად ასრულებენ ქალაქის ტეხნიკოს-მოხელენი თავიანთ საქმეს. ბორანის ნავების ფიცრები იმდენად დამპალია თურმე, რომ ბავშვის ერთის ფეხის წაკვრაც კმარა, სრულიად მიილეწ მოილეწოს!

◆ „კავკაზს“ შეუტყვია, რომ ქალაქ ბაქოს მცხოვრებ ნაფიც ვექილს ა. პ. ლებედინსკის აღუძრავს შუამდგომლობა კავკასიის მთავრობის წინაშე ნება მიეცეს მას გახსნას **ავტომობილით მიმოსვლა** მგზავრებისა და საქონლის ზიდვისა: 1) ქუთაისს, დაბა ონს, სამკურნალო წყლების უწერის (რაჭის მაზრა) და დაბა ცაგერის (ლეჩხუმის მაზრა) შუა; 2) ქუთაისს და სამკურნალო წყლების წყალტუბო (ქუთ. მაზრა) შუა; 3) ზეკარის გზაზე, ქუთაისს და აბასთუმანს შუა; 4) ართვინის გზაზე, ბათუმსა და ართვინს შუა; 5) ქუთაისს, ხონს და სადგურ სამტრედიას შუა, და 6) ოზურგეთსა და სად. ნატანებ შორის. უკეთუ ეს შუამდგომლობა შეწყნარებული იქნება, ბ. ლებედინსკი კისრულობს, ხიდები და გზები დასა-

ფელეტონი

—

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება

III

წიგნების ბეჭდვა. „საზოგადოების“ მზრუნველობა წიგნების გამოცემისათვის პირველად გამოიხატა იმით, რომ მან გამოაცხადა პრემიები არითმეტიკის, გეოგრაფიის, ქართულ ისტორიის და ბუნების მეტყველების წიგნებისათვის. ორი წლის განმავლობაში წარდგენილ იქმნა საპრემიოდ რამდენიმე წიგნი, რომლების განხილვა გამგეობამ ერთის კომისიიდან მეორეს გადასცა და რომლებიც, როგორც იქმნა განხილულ იქმნა მესამე წელს; ამ „წიგნებში დაბეჭდვის ღირსად იცნეს მხოლოდ ერთი. წიგნების გამოცემის საქმე თავიდანვე კუს ნაბიჯით მიდიოდა წინ. თუმცა პირველის წლის საერთო კრებამ ამ საქმისთვის 6000 მან. გადასდო და დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ წიგნებისა, მაგრამ გამგეობამ მეორე წლის განმავლობაში ძლივს გამოსცა ორი პატარა საყმაწვილო წიგნი „წითელი ფარანი“ ვუჩეტიჩისა და „ხატაური“ შმიდტისა. შემდეგ წელს წიგნების დასაბეჭდად გადადებული იყო 1500 მან., მაგრამ გამგეობამ ვერაფერი წიგნი იშოვა(?) გამოსაცემად და დაბეჭდა მხოლოდ ერთი წიგნი (კრილოვის არაკები, რ. ერისთავისა); გადასწყვიტა-კი გამგეობამ: კარგია ელემენტარულ წიგნების გადმოთარგმნა და გამოცემაო! შემდეგ წლებში, „საზოგადოებას“ ბევრი წიგნი მოუვიდა დასაბეჭდათ, განსაკუთრებით ამ საქმეებისთვის მისცა მას ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკმა 1000 მანეთი, მაგრამ ვერც ერთ წიგნს ვერ ვხედავთ გამოცემულს, მხოლოდ დადგენილება-კია კვლავ გამგეობის: უნდა გამოიცეს ეს და ეს წიგნებიო. 1885—86 საანგარიშო წელს „საზოგადოებამ“ დაჰბეჭდა ერთი წიგნი „რობინზონ კრუზე“. უკეთეს ნიადაგზე დადგა წიგნების ბეჭდვის საქმე 1889 წელს, როდესაც „საზოგადოებამ“ შეიძინა და გამოსცა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და „დედა-ენა“; ამავე წელს გამოსცა ოთხი სხვა წიგნიც და დახარჯა ამ წლის განმავლობაში სულ 5921 მანეთი. ჩვენ არ ჩამოვთვლით სათითაოდ, თუ როგორ სცემდა „საზოგადოება“ წიგნებს შემდეგ წლებში. სულ დაარსებიდან „საზოგადოებას“ დაუბეჭდავს 59 გამოცემა, ამ რიცხვში დედაენა ყოფილა 11 გამოცემა, ბუნების კარი 5, კრილოვის იგავ-არაკნი—აკაკისა 4 და კოკორი 2. სულ წიგნების ბეჭდვისთვის დახარჯულა 65763 მან., აქედან დედა-ენასა და ბუნების კარზე 56985 მან., ასე რომ სხვა წიგნებზე სულ ძლიერ ცოტაა დახარჯული. როდესაც ჩვენ ვიხილავთ „საზოგადოების“ მოღვაწეობას გამომცემლობის მხრივ, მხედველობაში არ არის მისაღები დედა-ენის და ბუნების კარის გამოცემა. ამ წიგნების გამოცემას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ ქონებრივ სახსარს აძლევს „საზოგადოებას“. ამ წიგნებს ყველა ვაჭარი სიამოვნებით გამოსცემს, აქ არავითარი სამსახური არ მიუძღვის „საზოგადოებას“, მით უმეტეს, რომ ხსენებულის წიგნების გამოცემის დროს თვალ-ყურის გდების და სხვ. შრომას ეწევა თითონ ავტორი, რომელიც მზა-მზარეულს წიგნებს აბარებს „საზოგადოებას“. დანარჩენ გამოცემათა რიცხვში 5—6 წიგნი სახელმძღვანელოა და დიდი უმრავლესობა საყმაწვილო წიგნები. გამოცემათა ფასია 1 მან., 50, 40, 30 კაპ-, მხოლოდ ორი წიგნი თითო შაურიანია, სამი თუ ოთხი 10 კაპ. და ამდენივე 15 კაპ.

წიგნების გამოცემა ყველაზე უფრო სუსტი მხარეა ჩვენის „საზოგადოებისა“. მისმა მოღვაწეობამ აქ სულ მცირე ნაყოფი მოიტანა მაშინ, როდესაც კი გამოცემის საქმისათვის განსაკუთრებითი ყურადღება უნდა მიექცია. სკოლების გახსნისა და ბიბლიოთეკების დაარსებაში იგი მუდამ შეზღუდული იქნება, წიგნების გამოცემა კი უფრო თავისუფალი ასპარეზია და მასთან უფრო ფართო. ბიბლიოთეკა და სკოლა ყველასათვის მისაწდომი არ არის, წიგნს კი ყველა მხარეში და სახლში შეუძლიან მოიპოვოს ადგილი: იგი იაფია, სწრაფი და იოლი. მაგრამ „საზოგადოებამ“ უნდა გაითვალისწინოს კარგად, თუ როგორი წიგნები ჰბეჭდოს. არც სახელმძღვანელოების და არც საბავშვო წიგნების ბეჭდვა არ არის მისი უმთავრესი საქმე, ამ უკანასკნელების მით უმეტეს, რომ ჩვენს ბავშვებს აქვთ საკითხავად „ჯეჯილი“, რომელიც ყოველ-თვე იბეჭდება (ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ბავშვები მეტს ნურაფერს წაიკითხავენ; შედარებითი მოთხოვნილებაა მხოლოდ მისაღები სახეში). წინადათ გვითქვამს და კვლავ განვიმეორებთ არა ერთხელ: ქართული წიგნები უნდა იბეჭდებოდეს უმთავრესად მდაბიო ხალხისთვის. ეს ხალხი დადის ქართულ თეატრი და ჰკითხულობს ქართულს წიგნებს და გაზეთებს. ვისაც უნდა ჩვენი ერის განვითარება, უნდა გაანვითაროს ეს ხალხი, მისცეს მას გონებრივი საზრდო. ეს მოვალეობა უნდა იკისროს უპირველესად „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. კერძო პირებს წიგნის გამოცემის დროს უმთავრესად მოგების ინტერესი აქვთ სახეში; „საზოგადოებას“ შეუძლიან მხოლოდ მიაწოდოს ხალხს კარგის შინაარსის წიგნები და იფად. სახალხო წიგნის ფასი უნდა იყოს 3, 5 და 10 კაპ., ამასთან უნდა დაიბეჭდოს ისეთი წიგნები, რომლებიც ხალხისთვის უფრო საინტერესო და იოლად გასაგებია—ბელეტრისტული, პოლიტიკური, ეკონომიური, ისტორიული წიგნები... აუცილებლივ საჭიროა წიგნების გამოცემის გაფართოვება, გაფართოვება თითქმის უსაზღვროდ. ვერსად ვერ დაიმსახურებს „საზოგადოება“ იმდენს პატივისცემას, როგორც აქ; ყოველი მისი შრომა აქ ათწილ გადახდილი იქნება!

ბიბლიოთეკები. წიგნების გავრცელებასთან ერთად სახალხო წიგნთსაცავების და სამკითხველოების დაარსებაც იაფი საშუალებაა განათლების გასავრცელებლად. ჩვენმა „საზოგადოებამ“ გვიან შეიგნო ეს ð მხოლოდ 1892 წელს გახსნა პირველი სახალხო ბიბლიოთეკა ტფილისში; ბიბლიოთეკაში პირველს წელს

ხელებულ ადგილებში ყოველთვის კარგად შეინახოს.

◆ ხორცით სავაჭრო **საქალაქო დუქნისთვის** 16 მაისს დაუკლავთ 6 საქონელი, 17 მაისს—12 და 18 მაისს—22; არც ერთს დღეს ერთი ნაგლეჯი ხორცი არ დარჩენილა, ისე დაიტაცეს მცხოვრებლებმა; საზოგადოდ, დუქანს დიდ-ძალი მუშტარი მიაწყდა; სავაჭროდ მოდიან ქალაქის განაპირა ადგილებიდანაც; ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება დააჩქარონ პოლიციის მე-9 და მე-10 ნაწილებში ახალ საქალაქო დუქნების დაარსების საქმე.

სამი დღის განმავლობაში ქალაქის დუქანს შემოსვლია დაახლოვებით 1000 მან. მეტი.

◆ საქალაქო სასწავლებელთა გამგე-კომისიას დროებით თავის მდივნად დაუნიშნავს ქ-ბ. არვანიტაკი, გამგეობის ერთ-ერთი მოხელეთაგანი. ახალი მდივანი, როგორც სჩანს, არა სცემს პატივს გაზეთებს და არა ჰსურს მათ თანამშრომლებს რაიმე ცნობები მიაწოდოს. გუშინ ამას ჩიოდა გაზ „კავკაზ“-ი, დღეს ეს სამდურავი ჩვენც უნდა გავიმეოროთ, რადგან ქ-ბ. არვანიტაკიმ არა თუ არ აცნობა ჩვენის გაზეთის მექრონიკეს ხუთშაბათის სხდომის ამბავი, არამედ მწყრალადაც უთხრა—არ გაძლევთ ცნობებს, მიჩივლეთ ვისთანაც გნებავდეთო.

რა არის ეს! კომისიის განკარგულებით ისტუმრებენ ასე გაზეთების თანამშრომელთ, თუ ქ-ბ. არვანიტაკის თვითნებობაზეა ყოველივე დამოკიდებული?!

◆ ტფილისის საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბროძელი, რომელიც გაგზავნილი იყო ბორჩალოში ავადმყოფობის—ხუნაგის გავრცელების წინაალმოეგ საშუალებათა მისაღებად, გუშინ-წინ დაბრუნდა ტფილისში. ბორჩალოს მაზრაში ეს ავადმყოფობა შედარებით ძალიან შემცირებულა.

◆ 17 მაისს ქუთაისიდან ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი **ა. ა. ხმაგინი** და ჩასოხტა «სევერნი“ ნომრებში.

◆ გუშინ წინ ტფილისში ჩამოვიდა და „სევერნი ნომრებში“ ჩამოხტა რუსეთ—სპარსეთის სამზღვარზე დანიშნული რუსეთის კომისარი ე. ვ. სემევსკი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის თანაშემწე თავ. სიდამონ ერისთავი რუსეთიდან დაბრუნდა და ამ დღეებში კიდეც შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

◆ ავადმყოფობისა გამო სამსახურს თავი დაანება ქალაქის გამგეობის მე-3 განყოფილების საქმის მწარმოებელმა გულიევმა; ამ დღეებში ქალაქის გამგეობას სთხოვა მისთვის შემწეობა მიეცათ და აგრეთვე მუდმივი პენსიაც დაენიშნათ ქალაქის გამგეობაში დიდის ხნის სამსახურისათვის. ქალაქის გამგეობამ გუშინ-წინ განიხილა გულიევის თხოვნა და გადასწყვიტა მიეცეს მას ერთ-ჟამიერ 100 მან. და საბჭოსთან შუამდგომლობა აღძრას, რომ მას ქალაქის თვით მმართველობისაგან 900 მან. პენსია ეძლიოს ყოველ წლობით.

◆ 16 მაისს, პოლიციის მე-9 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე, ზარგაროვის დუქანში პოლიციამ დაატუსაღა ტფილისის მოქალაქე ბაგრატ გაბაშვილი' რომელმაც ამ დღეებში, ჩხუბის დროს, ვიღაც უცნობი კაცი მოჰკლა.

◆ 16 მაისს, სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ ვაჭარს იაკობ ბაბაჯანოვს და იოსებ ჩავუკაშვილს პოლიციისათვის განუცხადებიათ, რომ ბაბაჯანოვის დუქანში არ ყოფნის დროს მის შებუფეტეს გაუტეხია სკივრი და კასა, ამოუღია პირველიდან 1300 მან. მეორედან 235 მან. და სადღაც გადამალულა. გამოძიება სწარმოებს.

◆ 17 მაისს, ამიერ კავკასიის რკინის გზის ნავთლუღის სადგურის ზემოდ პოლიციელებს უნახავთ გზაზე დაგდებული ვიღაც უცნობი კაცის გვამი. გამოძიებით აღმოჩენილა, რომ იგი ნახიჩევანის მაზრის მცხოვრებელია, ოჰანეზ საიდოვი, რომელიც ნავთლუხში მსახურებდა და 15 მაისიდან სადღაც გადაკარგულა. გარდაცვალებულ კაცის გვამი გამოსარკვევად გაგზავნეს მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ რამდენიმე დღის წინად ქუთაისში ხმა გაავრცელეს, ვითომც სოფ. წყალტუბოს აბანოს წყლებმა სითბოს ტემპერატურამ მეტად აიწიაო, ასე რომ შიგ ბანაობა ყოვლად შეუძლებელი არისო. ამის გამო აქაურ სამკურნალო განყოფილებას ექიმები გაუგზავნია წყლის გასასინჯად და გავრცელებული ხმების შესამოწმებლად. როგორც გავიგეთ, ეს ხმები ჭორი ყოფილა—და ბოროტი განზრახვით თურმე ავრცელებდნენ იმ მიზნით, რომ წყლებისთვის მუშტარი დაეფრთხოთ და მნიშვნელობა დაეკარგათ.

∽ ქუთაისის პოლიცმეისტრად ნამყოფის კოტ. სვიმონოვის საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატისაგან განსახილველად დანიშნულია 27 მაისს კი არა, როგორც შეცდომით იუწყებოდნენ გაზეთები, არამედ 29 მაისს. ამ საქმის გამო პალატის სესსიაში მოწვეულია 60 მოწამე. ბრალდებულს დაიცავს თავ. იოსებ ბარათაშვილი.

∽ არა ერთხელ და ორჯელ გვსმენია საჩივარი ქალაქის განაპირა მცხოვრებლებისა, როგორც მაგალითად მწვანე—ყვავილისა, საფიჩხიისა და არქიელის გორისა იმის შესახებ, რომ დამ-დამობით ან სულ არ ანთებენ ფარნებს და თუ ანთებენ, მეტად სუსტად და მქრთალადო. გარდა ამისა, თვითონ ფარნები მეტის-მეტად ჭუჭყიანია. ჩვენი „ქალაქის მამები“ თითქმის ყველანი ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ცხოვრობენ, სადაც ქუჩები გალკინის სისტემის ფარნებით, ერთის მხრით, და მეორეს მხრით, ფირალოვის თამბაქოს ქარხნიდან ელექტრონის ფარნებით არიან განათებულნი. ძალიან საჭიროა მათთვის იცოდენ საფიჩხია — მწვანე ყვავილის და არქიელის გორაზე ფარნები ანათებენ თუ არა?!

∽ 9 აპრილს, მოწამეთის მონასტრის მახლობლად წყლის პირად იპოვეს მიცვალებულის გვამი. მის მახლობლად ეგდო ძველი პირსახოცი, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა ჯერ-ჯერობით, მიცვალებული არის სოფელ ღვარდიას მცხოვრები (რაჭის მაზრაშია) სოკრატ მოწონელიძე, რომელიც ნოვოროსიისკში ერთ ვაჭართან ნოქრად ყოფილა. სამშობლოში ჩამოსულა მშობლების სანახავად; სხვათა შორის, მონასტრის ნახვაც მოუსურვებია, იქ-კი ბოროტ-გამზრახველთ შეუნიშნავთ მისთვის ფული და წყლის პირად დაუხრჩვიათ პირში პირსახოცის ჩატენით, რადგანაც პირსახოცი, რომელიც მის მახლობლად იპოვეს, კბილებისაგან დაღეჭილი აღმოჩნდა. მკვლელები ჯერ ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ. გამოძიება სწარმოებს.

„ჩვენი ნასწავლი ქალები და თეატრი“

„ივერიის“ 76 №-ში ბატონი პ. უმიკაშვილი საყურადღებო კითხვას იძლევა: „რა მიზეზია, რომ ქალები უფრთხიან სცენას? განა ცოტაა ჩვენში ნიჭიერი ქალი, რომელსაც სცენაზე გამოსვლა არ გაუჭირდება, სწავლაც აქვს, ჭკუაც უჭრის და თეატრის მნიშვნელობაც ესმის... ამ კითხვაზე ავტორი თითონვე იძლევა პასუხს: „ამის მიზეზით თავდაპირველად არის ის ცუდი აზრი ძველთაგან დარჩენილი, ვითომც სცენა მსახიობ ქალის პატიოსნებას ჩირქსა სცხებდეს“... „მეორე მიზეზი ის არის, რომ ქალებს ჰგონიათ, ვითომც სასცენო მოღვაწეობას საზოგადოება ავის თვალით უყურებდეს და არა სცემდეს პატივსა“... და სხ. მე პირველ შეხედულებაზე არას ვიტყვი, ხოლო მეორეზე—ვითომც საზოგადოება გლახა თვალით არ უყურებდეს მსახიობ ქალებს—მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა ჩემი პირადი გამოცდილებიდან. როდესაც საშუალო სასწავლებელში სწავლა დავასრულე, შემთხვევით სცენაზე შევედი დროებით, რადგან ერთი მსახიობ ქალთაგანი ავად გახდა სეზონის დაწყების დროს და, როგორც რეჟისორმა გადმომცა, აუცილებლად უნდა ეშოვათ ვინმე მის ადგილას. მე თუმცა სცენაზე თამაშის სურვილი არასოდეს არ მქონია, მით უფრო, რომ მოწოდებას მისადმი არ ვგრძნობდი, მაგრამ ძალა უნებურად დავსთანხმდი.

ჯერ სცენაზე არ გამოვსულიყავი, რომ ნაცნობებმა და ბევრმა უცნობმაც უკვე დამიწყეს სხვანაირად ყურება. ბევრი არ მერიდებოდა და პირში მეუბნებოდნენ, რომ თუ ამგვარად შეცდებოდი, არ გეგონაო! ნუ თუ მთელი 7—8 წელიწადი მისთვის სწავლობდი, რომ სცენაზე შესულიყავიო და სხვ... ბევრს ვცდილობდი, რომ არ მიმექცია ყურადღება ამისთანა შენიშვნებისათვის, მაგრამ ბოლოს მოთმინებიდან გამომიყვანეს და, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრეს [illegible] ამხანაგი ქალები მუდამ მისაყვედურებდნენ და ზოგი მათგანი ხმა მაღლა გაიძახოდა, რომ ეს მთელი ჩემი ამხანაგობა შევარცხვინე და მასთან იმ სასწავლებელსაც ჩირქი მოვსცხე, რომელშიაც მე იმჟამად სწავლა დავასრულე. ასე გასინჯეთ, თვით მასწავლებლებიც, რომლებიც იმ დღემდის სიამოვნებით მხვდებოდნენ, მესაუბრებოდნენ, სცენაზე გამოსვლის შემდეგ თითქოს თვალს მარიდებდნენ. მახსოვს ერთი მასწავლებელ-კაცის მწარე ირონია: „მომილოცავს თქვენი ახალი პროფესსია; მართალი გითხრათ, თუ თქვენ არა, სხვა ვერავინ აირჩევდა მაგისთანა სამოღვაწეო ასპარეზს“! ამისთანა ხომ არა ერთი ყოფილა. მახსოვს აგრეთვე მწარედ დაღონებული მამიჩემის ჩამოსვლა სოფლიდან, სადაც მისთვის ეტანათ ამბავი, რომ მან ტყვილა იშრომა, მისი ქალი სცენაზე თამაშობს და დაღუპულია, როგორც თავისთვის, ისე მშობლებისთვისაც. რამდენი თათბირი იყო საჭირო, რომ მამა ჩემი დამერწმუნებია, რომ აქ ცუდი და გასაკიცხი არაფერი არ იყო! მახსოვს ისიც, რომ ბევრს მშობელს არ უნდოდა თავის ქალები ჩემთან გაეტარებიათ, მხოლოდ იმიტომ, რომ მე სცენაზე თამაში დავიწყე, თორემ იგივე მშობლები დიდის სიამოვნებით ისტუმრებდნენ წინად თავიანთ ქალებს ჩემთან. ამ მდგომარეობაში გავატარე მთელი სეზონი. შესაძლოა მკითხველმა გაიფიქროს, რომ ეს გადამეტებულია, რადგან დღეს ცხოვრებამ სულ წინააღმდეგი დაგვანახვა ვასო აბაშიძის იუბილეის გამო; მაგრამ გარწმუნებ მკითხველს, რომ ჩვენი ნათქვამი ჭეშმარიტებაა და შიგ არაფერია გადამეტებული, მართალია, რომ დღეს ვასო აბაშიძის მოღვაწეობა საზოგადოებამ შეიგნო და ჯეროვანადაც დააფასა ის, როგორც გაზეთებ-ჟურნალებიდან სჩანს, მაგრამ რამდენი ბრძოლა, ენერგია, განსაცდელი იყო საჭირო ამ პატივცემულ მოღვაწისათვის, რომ საზოგადოებისთვის დაენახვებია მისი მოღვაწეობის სარგებლობა, მოეგო მისი გული და მოეღწია იმ წერტილამდის, რომელზედაც ის სდგას დღეს ჩვენი საზოგადოების თვალში! მკითხველს შეუძლია მომიძახოს, რომ უბრძოლველად, უგანსაცდელოდ არაფერი არ გაკეთდება არასოდესო. სრულიად ვეთანხმები, რომ საჭიროა ბრძოლა, განსაცდელი, თვით დაცინვის ატანაც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, არიან თუ არა დღეს ჩვენი ქალები ამისთვის მომზადებული? თუ თითო ოროლა ქალს, რომლებიც ჩვენში იშვიათ მაგალითს შეადგენენ, არ მივიღებთ მხედველობაში, ამ კითხვაზე სრულ დამაღონებელ პასუხს მივიღებთ: არა და არა! ან კი საიდან უნდა იყვნენ, როდესაც დღევანდელი ჩვენი ოჯახები და თვით საშუალო სასწავლებლებიც მეტ წილად ისეთ ქალებს გვიზრდიან, რომ ცხოვრებაში გამოსვლის დროს მეტ ყურადღებას აქცევენ თავიანთ ჩაცმა-დახურვას, ცეკვა-თა-

---

იყო 1000-მდე ქართველი და რუსული წიგნი, 1901 წ. დამლევს-კი 1730 ქართ. და 738 რუს. წიგნი. 1894 წ. დაარსებულია მეორე სახალხო ბიბლიოთეკა ტფილისში, 1895 წ.—ახალციხის ბიბლიოთეკა, 1896 წ.—ქუთაისის, 1897 წ.—უდის, 1898 წ.—დიდი ჯიხაიშის და 1891 წ. ტფილისის მესამე, შილდის და ხონის; ტფილისის მეორე ბიბლიოთეკას პირველად ჰქონდა 870 წიგნი ახლა აქვს—1444 ქართ. და 49 რუსული წიგნი, ახალციხისას ჰქონდა 626 წიგნი, ახლა (ე. ი. 1901 წ. დამლევს) აქვს 1016 ქარ. და 444 რუსული, ქუთაისისას ჰქონდა —1369, ახლა აქვს—1647 ქართ. და 1755 რუსული, უდისას—ჰქონდა 190 ქარ. წიგნი, აქვს—439 ქართ. და 83 რუსული, დიდი ჯიხაიშისას—ჰქონდა 502 წიგ., აქვს ახლა 420 ქარ. და 231 რუსული, შილდისს 1901 წ. დამდეგს ჰქონდა 152 წ., ტფილისის მესამეს ჰქონდა თავში 1099 წ., დამლევს—665 ქართ. და 1261 რუს. და ხონისას—1901 წ. დამდეგს ჰქონდა 225 ქარ. და 74 რუსული. ბიბლიოთეკებთან ჟურნალ-გაზეთების სამკითხველოებიცაა, რაც ძლიერ იზიდავს მკითხველებს. ბიბლიოთეკები პროვინციაში დაარსებულია თვითონ ადგილობრივ მცხოვრებლების მეცადინეობით, იგინივე ეწევიან ხარჯს და განაგებენ ბიბლიოთეკებს, მხოლოდ უმაღლესი გამგებლობა და თვალ-ყურის გდება ეკუთვნის „საზოგადოებას„. ამ საქმეშიც მცირედი ღვაწლი მიუძღვის „საზოგადოებას“ და მის გამგეობის ინიციატივას და შრომას. სხვები ბიბლიოთეკას აარსებენ და უძღვებიან და „საზოგადოებას“ სთხოვენ მარტო „მფარველობას“.

ქართული მუზეუმი. ეს დიდი სახელია და სრულებით არ შეეფერება თავად-აზნაურობასავით დაძველებულ ქარვასლის იმ ოთახს, სადაც უწესრიგოდ ერთი ერთმანეთზე დაყრილია და დალაგებული ჩვენის წარსულის ნაშთები, მაგრამ თვითონ ეს ნაშთები კი არიან საპატიო სახელის ღირსნი, და უფრო საპატიო ადგილისაც!

„საზოგადოებამ“ თავიდანვე გაიხადა თავის ერთ მიზანთაგანად როგორც დაბეჭდილის ქართულის ისე განსაკუთრებით ხელნაწერების შეკრება, რომლებიც თან-და-თან გამოეცლება ხელიდან ქართველებს და დაიკარგება. მეორე საანგარიშო წლის კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია „საზოგადოებამ“ ამ ხელ ნაწერებს. ხელ-ნაწერები ნელ-ნელა იკრიბებოდა, მესამე წელს ბიბლიოთეკაში 200-მდე ხელ-ნაწერი იყო (173 ტომად) და 100 დაბეჭდილი წიგნი. „საზოგადოება“ შეუდგა აგრეთვე იმ რუსულის წიგნების შეძენას,*) რომლებიც შეეხება ჩვენს ცხოვრებას: მეხუთე წელიწადს „საზოგადოებას“ ჰქონდა მოპოებული 400 ხელ-ნაწერი (232 ტომად). 1884—1885 წ. ბიბლიოთეკასთან დაარსებულ იქმნა პატარა მუზეუმი ძველის ნივთებისა და ფულებისა, რომელიც თანდათან გაიზარდა. პირველ 9 წლის განმავლობაში უკვე შეგროვილი იყო 1200 მეტი ხელ-ნაწერი და ბევრი ძველი ნიქვთი. საჭირო შეიქნა ბიბლიოთეკა-მუზეუმისათვის შენობის აგება; „საზოგადოებამ“ სთხოვა მთავრობას, ნება მოგვეცით გაზეთში ხელის-მოწერა გავმართოთ ამ შენობისათვისო, მაგრამ უარი მიიღო. შემდეგაც არა ერთხელ ცდილან როგორც „საზოგადოებას“ წევრები, ისე სხვა პირებიც, როგორმე საშუალება გამოენახათ; მიწაც-კი იშოვეს სათ.-აზ. ბანკისაგან, მაგრამ ფული არსად იყო შენობისათვის; მომავალის მუზეუმის გეგმაც-კი შეადგენიეს არქიტექტორს და წარუდგინეს ერთს მდიდარს ქართველს, მაგრამ უნაყოფოდ. წიგნების და ნივთების რიცხვი თანდა თან მატულობდა. „საზოგადოებამ“ რამდენჯერმე სცადა ხელ-ნაწერების მეცნიერული კატალოგი შეედგინა, მაგრამ ვერ მოახერხა და დღესაც ვერ შეუვსია ეს დიდი დანაკლისი. მუზეუმი ძლიერ გაფართოვდა 1898 წ., როდესაც „საზოგადოების“ საკუთრებად გადავიდა მთელი არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია განსვენებულის ა. როინაშვილისა. 1901 წ. დამლევს წიგნთ-საცავში იყო 3765 ქართ. ხელნაწერი და წიგნი და 1325 წიგნი უცხო ენაზედ...

მეტის-მეტად სამწუხარო სურათს წარმოადგენს დღეს ჩვენი მუზეუმი. წიგნები ასე თუ ისე შკაფებშია დალაგებული, სხვა ისტორიული ნივთები—იარაღები, სამკაულები, ჭურჭლები, მხატვრობანი უადგილობისა გამო პირდაპირ ჰყრია დამტვერული ან იატაკზე ან სხვაგან. დრო არის მოვხედოთ ამას; სწორედ სირცხვილია, რომ ასე გვიფუჭდება ძვირფასი ქონება. წიგნთ-საცავის ქვევით და გვერდებზე აქეთ-იქით კერძო მაღაზიებია, რომ საუბედუროთ სადმე ცეცხლი გაჩნდეს და ამდენი შეგროვილი საუნჯე დაგვეღუპოს, ვერავითარის საშუალებით ვერ გავასწორებთ ჩვენს უგულობას და დაუდევრობას. ვერავითარი მილიონები, კიდეც რომ ვიშოვოთ მერე, ვერ გვიყიდის იმას, რასაც დავკარგავთ. ნუ თუ ერთი მდიდარი ქველმოქმედი არ მოგვეპოვება, რომელმაც დაგვიხსნას ამ საშინელის განსაცდელისაგან? თუ არა, და სუყველამ ვიღონოთ რამე ცოტ-ცოტა და ავიშენოთ უბრალო, მაგრამ საიმედო სახლი მაინც!

უნებურად გაგვიგრძელდა წერილი და დროა, შევსწყვიტოთ. ორის წლის შემდეგ 25 წელ. უსრულდება ჩვენს „საზოგადოებას“ და იმედია, თვითონ გაგვაცნობს უფრო დაწვრილებით თავის ისტორიას.

მოკლედ რომ გადავავლოთ თვალი „საზოგადოების“ მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ გასაკეთებელი ბევრი იყო და გაკეთებული-კი ცოტაა. „საზოგადოებაში“, მის გამგეობაში უფრო მეტი ფორმალური მუშაობა იყო, სხდომები, მიწერ-მოწერა. საჭიროა მეტი სიცოცხლე და საქმიანობა. ყველაზე უფრო ეს მოეთხოვება, რასაკვირველია, გამგეობას, რომლის ენერგიულობამ და ნაყოფიერობამ უნდა გაამხნევოს და წაახალისოს სხვები.

კალამი.

◆

---

*) მაგრამ „საზოგადოება“ ძლიერ ცოტა ფულს ხარჯავს ამ წიგნებისათვის; რამდენისამე ათის მანეთით ბევრს არაფერს შეიძენს კაცი. ჩვენს მუზეუმში-კი უნდა იყოს ყველა წიგნი ჩვენ შესახებ.

Дозволено цензурою Тифлисъ, 19 Мая 1902 года.

მაშს და პირად სიამოვნებას, ვიდრე საზოგადო საქმეს. საზოგადო საქმე მათთვის მეტ ბარგს შეადგენს; ისინი მისთვის არ არიან მომზადებულნი! ვინიცობა რომელიმე მათგანმა მოჰკიდა ხელი საზოგადო საქმეს და პირველ ნაბიჯზედვე რაიმე დაბრკოლება შეხვდა, ის შებრძოლების მაგივრად საქმეს სწრაფად უშვებს ხელს, რისიც მრავალი მაგალითებია ჩვენში, და ისევ თავის პირად სიამოვნებას უბრუნდება. აგრეთვე ძალიან ბევრს ყურადღებას აქცევენ ჩვენი ქალები იმას თუ „რას იტყვის კნეინა მარიამ ალექსის ასული“, ხოლო ამისთანა მარიამებით ჩვენი საზოგადოება დღეს სავსეა...

ჩვენი საზოგადოების მეტი წილი დღემდისაც ვერ შერიგებია ქალის სცენაზე თამაშს. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ამ არა სასურველ მდგომარეობას დავაღწიოთ თავი და საქმეც გავაკეთოთ? ამისათვის თავდაპირველად საჭიროა ჩვენი ქალების აღზრდას მეტი ყურადღება მიექცეს, ვიდრე დღეს; საჭიროა, რომ მათში შემუშავდეს თავისი საკუთარი აზრი-შეხედულება ყოველიფერზე, რომ ყოველ წამს იმას არ ფიქრობდნენ, თუ ვინ რას იტყვის. საჭიროა მათ სწავლა-განათლებას მეტის ენერგიით ეკიდებოდეს ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია, ვიდრე დღეს. ხოლო ამის შემდეგ მათ თამამად შეეძლებათ ჩვენი ქალების მოწოდება სამოღვაწეო ასპარეზზედ და ჩვენი ქალებიც მეტის ცოდნითა და გაბედულებით შეიარაღებული გამოვლენ ამ ასპარეზზე!

მ. ო.

უცხოეთის წვრილი ამბები

ქორწილი ტელეფონის საშუალებით. ყველაზე უცნაური ამბები, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ამერიკაში უნდა მოხდეს. ქორწილი ტელეფონით—ესეც, რასაკვირველია, იმათ მოიგონეს.

სამეფო და სარძლო სხვა და სხვა ქალაქებში ცხოვრობდენ. პატარძალი ახალგაზდა კეკლუცი ქვრივია დაიტონიდან, სამეფო—შეძლებული ვაჭარი ჰოპკინსვილში.

ჯვარის წერის წესი ასე შეასრულეს:

პატარძალი თავის მამით და დით, აგრეთვე დიდძალი მოწვეულის საზოგადოებით გაემართნენ ადგილობრივ მეაფთიაქესთან, რომელსაც ტელეფონი ჰქონდა. იმათ იქ ელოდათ პასტორი (მღვდელი). მთელი საზოგადოება ტელეფონის გარშემო დალაგდა.

პასტორმა სთხოვა, ტელეფონი შეერთებინათ ჰოპკინსვილთან, და როდესაც შეართეს, დაუწყო მოლაპარაკება სამეფოს. ის ნათლად და გარკვევით პასუხს აძლევდა ყველა კითხვებზე, რომელსაც აქედან ჰკითხავდა პასტორი.

ამის შემდეგ ახალგაზდა ქვრივიც მიცუნცულდა აპარატთან და აგრეთვე პასუხს აძლევდა მეორე მხრიდან მოლაპარაკე პასტორს.

ამ წესის შემდეგ დაიტონის პასტორმა წაიკითხა სამღვთო ლოცვები, რომლებიც აულღებდა მეფეს და პატარძალს და შემდეგ ეს გაიმეორა ტელეფონში.

მთელი ეს ცერემონია თხუთმეტი წუთი გაგრძელდა და 34 მანეთი დაჯდა მთელი ხარჯი ტელეფონისა. ამ ცერემონიის შემდეგ ახალი ჯვარდაწერილი პატარძალი თავის ქმართან გაემგზავრა.

ამ ამბავში საგულისხმიერო კიდევ ის არის, რომ მეფე-პატარძალს თავის დღეში არ უნახავთ ერთმანეთი!

ღვთის მადლით, დღეის იქით საბარგო ვაგონებითა და ფასდადებითაც გამოიწერენ საცოლოებს და პატარძლებს!

* *

მეფე ალფონს მეცამეტის აღზრდა. ესპანიის მეფის ერთი მასწავლებელთაგანი ასეთ ცნობებს იძლევა თავის შეგირდ-მეფეზე.

დონ-ალფონსი თავის ტოლ ესპანიელ ჭაბუკებზე ტანით ცოტა უფრო მაღალია. მუქი-წაბლის ფერი თმები აქვს, და იმისი ლურჯი ცოცხალი თვალები გონების გამჭრიახობის გამომხატველია. ფიზიკური სისუტე, რომელიც ბავშვობაში ჰქონდა, ეხლა სულ დაეკარგა, რადგანაც, მიუხედავად სხეულის ნაზი აგებულებისა, იგი ძალიან ამტანია და დიდის სიამოვნებით ასრულებს ფიზიკურ ვარჯიშობას.

თუმც სახის გამომეტყველება მძიმე ხასიათს ხატავს, მით უმეტეს მოწყენილი ბუნების პატრონი არ არის: ჭაბუკს ხუმრობა უყვარს და მხიარულიც არის. თავი დიდის ღირსებით უჭირავს და თავის მოქმედებაში პირდაპირია.

ყველა მასწავლებლები ამოწმებენ ამის ნიჭს და მეცადინეობას მეცნიერებაში. ის ძალიან უკვირდება საგანს და ცდილობს საფუძლიანად შეითვისოს იგი, ხშირად თავის მასწავლებლებს კითხვებს აძლევს, რაც იმის ჭკუის გამჭრიახობას და სიმკვირცხლეს მოწმობს.

უფრო გულმოდგინედ და კარგად მათემატიკას და ფიზიკას სწავლობს. თავის საკუთარი სახელმწიფოს ისტორიას და აგრეთვე სხვა ქვეყნებისაც დონ-ალფონსი სწავლობდა ყოველთვის დიდის ინტერესით, და მესხიერება, რომელიც იმას ბურბონებისაგან მოსდევს, შეძლებას აძლევს იმას, დიდი სარგებლობა გამოიტანოს თავის ისტორიულის დიდი ცოდნისაგან.

მაგრამ მეტის გატაცებით და სიყვარულით ის ეპყრობა სამხედრო საგნების შესწავლას, რომლებშიაც თავის ხნოვანებასთან შედარებით შესანიშნავად არის განვითარებული. ის მეტად გულმოდგინედ სწავლობდა ევროპიული ჯარების მოწყობას და ეს თავისი ცოდნა გამოიჩინა კიდეც ალლუმების დროს.

ახალგაზდა მეფე ყოველთვის ტოლედოს კადეტების მუნდირს ატარებს. იმისი საყვარელი საფიქრებელი საგანის ესპანიის ჯარია, და თავის პატივმოყვარეობას უმთავრესად ისა სწირავს იმას, რომ იმისი ჯარები, თუ არ რიცხვით, დახელოვნებით მაინც მხარში უდგნენ დიდ სახელმწიფოების ჯარებს.

ალფონს მეცამეტე მუდამ ზრდილობიანია საუბრის დროს, ვისთანაც უნდა იყოს. იგი მოწყალეა სულ უმცირესს თავის ქვეშევრდომებთანაც კი, ამით ის ხიბლავს ყველას, ვისაც კი იმასთან საქმე აქვს.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

17 მაისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა 22 მარტს კეთილ ინება და დაამტკიცა პირველი ჟურნალი იმ სათანადო კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს სასოფლო—სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა გამოკვლევა. ამ ჟურნალში აღნიშნულია 27 საკითხი, რომელიც განსახილველად წარედგინება ადგილობრივ კომიტეტებს. სხვა-და-სხვა საკითხის შორის შემდეგებიც არის: 1) გაადვილება მეტად განაწილებულ მამულის ნაწილების გაცვლა—გამოცვლისა; 2) სახალხო წვრილ კრედიტის საქმის მოწყობა; 3) სამელიორაციო კრედიტის გაფართოვება; 4) სამეურნეო საზოგადოებათა კავშირის ორგანიზაცია; 5) საუმჯობესო სამეურნეო იარაღების გავრცელება; 6) საქონლის მოშენების საქმის გაუმჯობესება; 7) გლეხების დასახლების გაადვილება მათ ნადელების საზღვრებში; 8) საშინაო მრეწველობის დახმარება და 9) სოფლის გარედ სამუშაო საქმის მოპოვების გაადვილება გლეხებისათვის.

დღეს ეკატერინოსლავის გუბერნიაში წავიდა წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელი პერეკრესტოვი, რადგანაც ამ გუბერნიის მაზრებში სახადი გაძლიერდა.—დღეს საიმპერატორო კაცთ-მოყვარეობის საზოგადოების ასი წლის შესრულების გამო, საზოგადოების სახლის შენობაში, ხელმწიფე იმპერატორის, დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის და დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თანადასწრებით, სადღესასწაულო პარაკლისი გადაიხადეს, რომელსაც მოჰყვა აქტი.

ვილნო. გუბერნატორი ფონ-ვალი კარგად არის.

ბერლინი. გერმანიის იმპერატორმა გარდასცა შაჰს შავი არწივის ორდენი. შაჰმა მისცა იმპერატორს სპარსეთის უმაღლესი ორდენი.

კიევი. სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი ტიხომიროვი გარდაიცვალა.

პეტროზავოდსკი. დაგვიანებული გაზაფხულია; ზამთრის ნათესებმა კარგა გაიარეს.

სარატოვი. საგუბერნიო ერობის შუამდგომლობაზე, რომ რუსეთში ერთი საბეითალო ინსტიტუტი კიდევ გაიხსნას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა, რომ შუამდგომლობა შეწყნარებული იქნება, უკეთუ მატერიალური დახმარება აღმოეჩინება ერობის მხრივ.

მოგილევი. მოგილევის გუბერნატორი გენერალ-მაიორი სემიაკინი უცბად გარდაიცვალა.

ასტრახანი. დღეს მოვიდა ახლად დანიშნული ეპისკოპოსი გიორგი.

მოსკოვი. მოსკოვის პურის ბირჟამ დაადგინა იშუამდგომლოს, ნება დაერთოს გახსნას ბირჟის განყოფილებანი იქ, სადაც პური მიაქვთ.

კიევი. მიტროპოლიტი თეოგნოსტი დაბრუნდა. ოლქის სამხედრო სასამართლოში გაირჩა შტაბს-კაპიტნის სოფრონოვის საქმე, რომელსაც პორუჩიკის გროზდკის მოკვლა ბრალდებოდა. მიზეზი—იჭვიანობაა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო სოფრონოვი და მიუსაჯა უფლება—უპირატესობათა ახდა და სამის წლით გამასწორებელ სატუსაღო რაზმში გაგზავნა; ამავე დროს სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ეს სასჯელი შეეცვალოს ორის თვით ციხეში დაპატიმრებით და ზოგიერთ უფლებათა შეზღუდვით.

მოსკოვი. დღეს დილას დაიწვა საბადოსნო სკოლის შენობა.

ბათუმი. დღეს გიმნაზიაში მესამე კლასის შეგირდმა დომენტი კვახაძემ დანით დასჭრა ფრანგული ენის მასწავლებელი ქალი არლონდი; ჭრილობა მძიმეა, საშიში.

პარიზი. ახალშენების სამინისტროში მიღებულია მარტინიკაზე დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოწირულებანი სულ 1,937,841 ფრანკი, ამათში 250,000 ფრანკი რუსეთის იმპერატორისგან და 25,000 ფრანკი იმპერატორ ფრანც იოსებისგან.

შანხაი. ჩინის სამხრეთ ნაწილში ბევრად უფრო მშვიდობიანობაა, თუმცა მთავრობის ჯარებსა და გაფანტულს მეამბოხეთა შორის ჯერ კიდევ შეტაკება ხდება ხოლმე.

18 მაისი

ბერლინი. სადღესასწაულო სადილზე იმპერატორმა დალია შაჰის სადღეგრძელო და გამოსთქვა სურვილი, რომ გერმანიასა და სპარსეთს შორის შემდეგშიაც კარგი განწყობილება სუფევდეს; შაჰმა საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა სპარსულ ენაზე.

სახალინი. ნავოსნობა ძალიან ადრე დაიწყო; მოვიდა გემი „იაროსლავი“ კატორჟნიკებით. კუნძულზე ტელეგრაფი გაფუჭებულია და აღარ მუშაობს.

ლონდონი. გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ მშვიდობიანობის ჩამოგდება უზრუნველყოფილია. ბურების წარმომადგენლები დაბრუნდნენ ფერეინიგინში, სადაც ორშაბათამდე უნდა გადაწყდეს მშვიდობიანობა ჩამოვარდება თუ ისევ ომს მიჰმართავენ. გაზეთები ირწმუნებიან, რომ ინგლისმა დიდ სულგრძელება იჩინა და ბევრი დაუთმო ბურებს, განსაკუთრებით იმით, რომ იარაღის ტარების ნება მისცა.

ბერლინი. ბურების წარმომადგენელი ლეიდსი ამბობს, რომ ყოველს შემთხვევაში მხოლოდ დროებითი შერიგება მოხდება ორისა ან სამის თვით,

ბერლინი. პარადის შემდეგ გერმანიის იმპერატორს წარუდგა მალორუსიის დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია.

ცეტინიე. მთავარი ნიკოლოზი საზღვარ გარედ წავიდა სამკურნალო წყლებზე.

პარიზი. „ფიგარო“ სწერს, რომ ბიულოვმა განაცხადა სამთა კავშირი არ საჭიროებს შეცვლას და რჩება მშვიდობიანობის უზრუნველ მუოფელად.

ფრანგ სტუმრების დახვედრამ პეტერბურგში სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა გერმანიაში; აქ თანაგრძნობით აღნიშნეს იმპერატორისა და პრეზიდენტის მშვიდობიანობის მოამასწავებელი სიტყვები. რაც შეეხება ჩინეთს, გერმანიას სურს მხოლოდ მშვიდობიანობა დაიცვას იქაც და გაჭრობა გააძლიეროს. ინგლის-იაპონიის კავშირი და რუსეთ-საფრანგეთის კავშირიც ამავე პრინციპს ემსახურებიან. იმ კითხვაზე—აქვს თუ არა გერმანიას განზრახვა მიემხროს რომელსამე კავშირს, ბიულოვმა განაცხადა: ჩვენ ყოველთვის იმის მხარეს ვიქნებით, ვინც მშვიდობიანობის დამცველი იქნება. დასასრულ ბიულოვმა სთქვა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა კარგიაო.

პეტერბურგი. 1903 წ. პირველ ივლისიდან გაიხსნება სამასწავლებლო სემინარიები სოფელ დიდ სოროჩინცში (პოლტავის გუბერნია) და ქალაქ ნოვო-მოსკოვსკაში (ეკატერინოსლავ. გუბერ.).

ადესის სამხედრო ოლქის ინტენდანტის თანაშემწე შულგინი დაინიშნა კავკასიის სამხედრო ოლქის ინტენდანტად.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უწმ. სინოდში დასწრებიდან დაითხოვა მიტროპოლიტები კიევისა თეოგნოსტი და მოსკოვისა—ვლადიმირი, არქი-ეპისკოპოსები ირკუტსკისა ტიხონი და ყაზანისა არსენი და პოლოცკის ეპისკოპოსი ტიხონი. მათ მაგიერ პეტერბურგს მოწვეულნი არიან არქი-ეპისკოპოსები ხარკოვისა ფლაბიანე და ფინლიანდიისა—ნიკოლოზი, ეპისკოპოსები—ტომსკისა მაკარიოსი და რიგისა აგაფანგელი. ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა უწმ. სინოდის მოხსენება, რომ კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი პლატონი ჩიგირინის ეპისკოპოსად ეკურთხოს.

17 მაისს ლეიბ-გვარდიის დრაგუნთა პოლკს ბედნიერება ჰქონდა ცარსკოე-სელოში წარსდგომოდა ხელმწიფე იმპერატორს.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

მუზეი

დაჰყოფს კიდევ 27 მაისამდის, ახლად განახლებული სურათებია და **კატასტროფა შემახაში**; ჰაერში მფრინავი ქალი და კინემატოგრაფი.

(3—318—2) პატივისცემით **ფ. ი. ფიც.**

ტფილისის

სამარხო ყასამ

უკვე დაიწყო მოქმედება და ვისაც ჰსურს წევრად ჩაეწეროს, მიჰმართოს გამგეობის წევრს-ხაზინადარს შიო ქუჩუკაშვილს სათავადაზნაურო ქარვასლაში, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში. ერთ-ხნობითი შემოსატანი არის **სამი მანეთი** და **ხუთი შაური**, გარდაცვალებულის ოჯახს-კი მიეცემა შემწეობა **ხუთას მანეთამდის.**

დამფუძნებელ წევრთ, რომელთაც ჯერ არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, მაისის თვის გასულამდის უნდა შემოიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხულ იქნებიან წევრობიდან. (უ. 5—2)

გუსტავ გაბრიელის ძე მალევსკი თავის წასვლისა გამო ქუთაისიდან

მეტად იაფ და ხელ-მისაწვდომ ფასად

ჰყიდის ნაკვეთ მიწებს

ქალაქ ბათუმში—440 ოთხკუთ. საჟ.—100 საჟენის მანძილზე რკინის გზის სადგურიდან და ქალაქ ფოთში მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე; მე-15-ტე კვარტალში № 131—520 ოთხ-კუთ. საჟენი მე-17-ტე კვარტალში № 161—325 ოთხ. საჟენი და 162—520 საჟ.; მე-74-ე კვარტალში №№ 706 და 708—1100 საჟ. და საავგარაკო ადგილს ზღვის ნაპირას 12,000 ოთხ კუთ. საჟენზე მეტი.

დაწვრილებით ყველაფრის გაგება შეიძლება თვით მალევსკისთან ქ. ქუთაისში ან ნაფიც ვექილ რ. მ. იურკევიჩთან ბათუმში, და ი. ზ. ბერძენიშვილთან ქ. ფოთში. (5—320—1)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ იმის საკრებულოში 22 ამა მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა ქალაქის მიწის 726,3 ოთხ-კუთხი საჟ. იჯარით გასაცემად. ეს ადგილი იმყოფება მეათე საპოლიციო ნაწილში, ტფილისის დამოენის პირდაპირ, სადაც ეხლა ფრანც ამირალოვის შეშის და ხე-ტყის საწყობია.

კონდიციების ნახვა შეიძლება ყოველ-საქმის დღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ-საათამდე, გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—2)

ზ ი ნ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

ვერის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**

ტელეფონი № 754. (წ.).

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 22 მაისს, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომლით იჯარით გაიცემა უწმინდურების მილის გაკეთება (სიგრძით 60,00 საჟ, სიგანით 0,42+0,28) მიხეილის პროსპექტზე აწ არსებულიდან; სამუშაოს ღირებულება 1400 მან..

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლია დაწვრილებითი პირობები განიხილოს გამგეობის საალმშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 3—2)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიიდან ხელით ნახატებიდან.

Дозволено цензурою Тифлисъ, 18 Мая 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.